ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში სამოქმედო გეგმის მომზადების, მისი შესრულების ხელშეწყობისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N7

ქ.თბილისი

30/05/2017 წელი

სხდომის დაწყების დრო: 14:00საათი

სხდომას უძღვებოდა:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ნინო ხატისკაცი.

სხდომის მდივანი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მერის მოადგილის აპარატის (სამსახურის) მთავარი სპეციალისტი - ხატია ხვისტანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მერის მოადგილე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მერის მოადგილის აპარატის (სამსახურის) უფროსი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო"-ს წარმომადგენლები; „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს წარმომადგენლები; დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროგრამის (USAID) უფროსი

მრჩეველი სახელმწიფო მმართვის საკითხებში; ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს უფროსი ანალიტიკოსი; „ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს პროგრამის მენეჯერი მაკრო-ეკონომიკის, საჯარო ფინანსებისა და რეგიონული განვითარების მიმართულებით.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში სამოქმედო გეგმის მომზადების, მისი შესრულების ხელშეწყობისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელისა და ზემოაღნიშნული წევრების შემადგენლობით.

<u>**სამუშაო ჯგუფის სხდომის დღის წესრიგი:**</u>

1. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში 2017 წლის თბილისის სამოქმედო გეგმის პირველი ვალდებულებით გათვალისწინებული “smart map” - ის ადმინისტრირებისა და შექმნილი ელექტრონული პლატფორმის განხილვა;
2. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში 2017 წლის თბილისის სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულებით გათვალისწინებული პეტიციის („პეტიცია თბილისის მერს“) ინსტიტუციურ-რეგულაციური და შექმნილი ელ-პლათფორმის გაუმჯობესებული ფორმატისა და განხილვა-შეთანხმება;
3. 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისა და მიმდინარე სამუშაო პროცესის შესახებ ანგარიშის წარდგენა;

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო ხატისკაცმა. მან ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და წარუდგინა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ადგილობრივი თვითმმართველობების საპილოტე პროგრამის მენეჯერი, ბრიტანი ლეინი და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი, ნინო კაკუბავა, რომლებიც მიმდინარე სამუშაო სხდომას ესწრებოდნენ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამუშაო ჯგუფის წევრებს დეტალურად გააცნო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ

„მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს თავმჯდომარის მოსადგილემ ანალიტიკისა და დაგეგმარების მიმართულებით, გელა ტალახაძემ.

პრეზენტაციის პირველი ნაწილი დაეთმო “smart map”-ის დეტალურ განხილვას. პრეზენტატორმა სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინა „smart map”-ის არსებული ვარიანტი და ინფორმაცია მიაწოდა მისი საბოლოო სახით შექმნისთვის გასატარებელ რამდენიმე მიმდინარე ტექნიკურ სამუშაოებზე. მათ შორის, შეთანხმდა ფორუმის ფუნქციონალზე სოციალურ ქსელებთან ინტეგრირების შესაძლებლობის დამატების საკითხი.

პრეზენტაციის მეორე ნაწილი ეხებოდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში, 2017 წლის თბილისის სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულებით გათვალისწინებული პეტიციის („პეტიცია თბილისის მერს“) ინსტიტუციურ-რეგულაციური და შექმნილი ელ-პლატფორმის გაუმჯობესებული ფორმატის წარდგენას/განხილვას პეტიციის საბოლოო ვარიანტზე შეთანხმების მიზნით. სამუშაო ჯგუფთან შეთანხმდა პეტიციის განახლებული ფორმატი და მასში შეტანიოლი დამატებები.

სამუშაო ჯგუფს გაეცნო სხვა დანარჩენი ვალდებულებების მიმდინარეობის პროცესი. მოხდა მოქალაქეების სერვისებით მომსახურებისთვის შექმნილი ელექტრონული პლათფორმის დეტალური და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლათფორმის ძირითადი ფუნქციონალების განხილვა. სამუშაო ჯგუფის წევრებს ეცნობათ, რომ UNDP უზრუნველყოფს კონსულტანტის დაქირავებას, რომელიც თბილისის ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების სწორი მენეჯმენტისთვის გაწერს სამუშაო აღწერილობებსა და შესაბამის სამუშაო პროცესს. ასევე, ჯგუფს მიეწოდა ინფორმაცია OSGF-ს მიერ სპეციალისტების დაქირავებაზე მზად ყოფნის შესახებ, რომლებიც მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის შექმნიან გამოკითხვის ფორმებს, მეთოდოლოგიას, ჩაატარებენ ტრენინგს მერიის თანამშრომლებისთვის და პირველ ეტაპზე თავად უზრუნველყოფენ თბილისის მოსახლეობის გამოკითხვას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების პრეზენტაციის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოთქვეს ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდება უკვე საბოლოო პროექტებში. 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და მიმდინარე სამუშაო პროცესის შესახებ ანგარიში საერთო ჯამში სამუშაო ჯგუფის წევრებმა წარმატებულად შეაფასეს.

სხდომის დახურვის დრო: 16:00სთ.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ხატისკაცი

სამუშაო ჯგუფი სმდივანი: ხატია ხვისტანი